

ABOUT HIV

დამყოლობა - რეჟიმის დაცვა

„დამყოლობა“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, თუ რამდენად სწორად ღებულობთ მედიკამენტებს. თუ მედიკამენტებს წესების დაცვით არ ღებულობთ, მათი ზემოქმედების სარგებელი არ იქნება მაქსიმალური.

ეს ნიშნავს:

- მედიკამენტების სრული დოზირებით მიღება.
- მედიკამენტების სწორ დროს მიღება.
- საკვებთან და წყალთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინება (მაგ. იმის, რომ არ შეიძლება მედიკამენტების ცარიელ კუჭზე მიღება).

რატომ არის მნიშვნელოვანი

დამყოლობა/რეჟიმის დაცვა

საუკეთესო შედეგები ფიქსირება იმ პაციენტებში ვინც სწორად ღებულობს მედიკამენტების ყველა ან თითქმის ყველა დოზას. ასე რომ, მიზნად დაისახეთ ყველა დოზის მიღება. დამყოლობის მინიმალური დონე, რომელიც საჭიროა აივ-ის მკურნალობის სათანადო მოქმედებისათვის შეადგენს 95%-ს. თუ თქვენ დღეში ერთხელ ღებულობთ მედიკამენტებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ უნდა გამოტოვოთ (ან არასწორად მიიღოთ) თვეში ერთ დოზაზე მეტი. თუ თქვენ ღებულობთ მედიკამენტებს დღეში ორჯერ, მაშინ 95% დამყოლობა ნიშნავს, რომ არ უნდა გამოტოვოთ (ან არასწორად მიიღოთ) თვეში სამ დოზაზე მეტი.

აივ-ის საწინააღმდეგო მედიკამენტების არასწორად მიღება ნიშნავს, რომ მათი კონცენტრაცია სისხლში ვერ მიაღწევს აივ-თან საბრძოლველად საკმარის დონეს. თუ ეს მოხდა, ვირუსი შეძლებს გამრავლებას. მკურნალობის პერიოდში რეპროდუცირებულმა შტამებმა შესაძლოა შეიძინონ რეზისტენტობა იმ მედიკამენტების მიმართ, რომლებსაც თქვენ ღებულობთ. რეზისტენტობა ნიშნავს, რომ მკურნალობა აღარ იქნება ეფექტური და თქვენ მოგიწევთ მისი შეცვლა. ახალი სამკურნალო სქემა შეიძლება

აღმოჩნდეს უფრო რთული ვიდრე თქვენი ახლანდელი კომბინაცია და შესაძლოა მას ახასიათებდეს ახალი გვერდითი მოვლენების განვითარების რისკი.

მარაგის ამოწურვა

ზოგჯერ ჯანდაცვის სამსახურის მართვის ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს რიგი მედიკამენტის ხელმისაწვდომობის შეფერხება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს დაუშვებელია, რადგანაც არის ჯანმრთელობისათვის ძალიან სარისკო. თუმცა არც თქვენ და არც თქვენს ექიმს შეიძლება არ გქონდეთ სიტუაციის კონტროლის შესაძლებლობა.

თუ თქვენ მოგიწიათ მკურნალობის შეწყვეტა, მნიშვნელოვანია განიხილოთ თქვენს ექიმთან სიტუაციის დარეგულირების საუკეთესო გზები. მაგალითად, თუ კომბინაციიდან ერთი მედიკამენტი ხელმისაწვდომია, ხოლო დანარჩენი ორი არა, ექიმმა შეიძლება გირჩიოს საერთოდ შეწყვიტოთ მედიკამენტების მიღება, მანამ სანამ ყველა თქვენთვის განკუთვნილი მედიკამენტი გახდება კვლავ ხელმისაწვდომი. იმის გათვალისწინებით თუ რა მედიკამენტებს ღებულობთ და რამდენ ხანს ინარჩუნებენ ისინი აქტივობას თქვენს ორგანიზმში, შესაძლოა თქვენმა ექიმმა გირჩიოს რომელიმე ერთის მიღების შეწყვეტა, კომბინაციიდან სხვა რომელიმე მედიკამენტის შეწყვეტამდე.

რჩევები სპეციფიურია და დამოკიდებულია იმაზე თუ რა მედიკამენტებს ღებულობთ. ეს ზომები მიმართულია აივ-მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის ჩამოყალიბების თავიდან აცილებისაკენ.

ურთიერთქმედება სხვა

მედიკამენტებთან

აივ-ის საწინააღმდეგო მედიკამენტებს შეიძლება გააჩნდეთ ურთიერთქმედება სხვა დანიშნულ მედიკამენტებთან, რომლებსაც ყიდულობთ აფთიაქში, მცენარეულ საშუალებებთან, არალეგალურ და რეკრეაციულ ნარკოტიკებთან. ურთიერთქმედების რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია საქმის კურსში ჩააყენოთ თქვენი ექიმი იმის შესახებ თუ რა მედიკამენტებს ღებულობთ.


www.pro-vich.info და www.about-hiv.info შემოუვაგება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCRu-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

დამყოლობა - რეჟიმის დაცვა



მკურნალობის მხარდაჭერა

ბევრ პაციენტს ზოგჯერ ავიწყდება მედიკამენტის მიღება. თუ აღნიშნული იშვითად ხდება, არ იდარდოთ ამის შესახებ. მაგრამ უთხარით თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს თუ თქვენ დიდ დოზირებებს ტოვებთ.

შიძლება რაიმე ქმედებების განხორციელება, რაც დაგეხმარებათ მედიკამენტების სათანადოდ მიღებაში. თქვენ შიძლება დაგეხმაროთ გარკვეული რეჟიმის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებში მედიკამენტებს ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს მიიღებთ. მაგალითად, ზოგი აწარმოებს დღიურს, ან იყენებს მალვიძარას. ზოგს კი მედიკამენტების ყუთები ეხმარებათ დოზებზე თვალის მიდევნებაში. ეს ყუთები ხელმისაწვდომია თქვენს აივ-კლინიკებში.

თუ თქვენ გიჭირთ მედიკამენტების მიღება გვერდითი მოვლენების გამო, შესაძლებელი უნდა იყოს მკურნალობის შეცვლა იმ სქემით, რომელიც თქვენზე უფრო მორგებული იქნება.

შესაძლებელია სხვა მიზეზებიც არსებობდეს, რომლის გამო ფერხდება მედიკამენტების დადგენილი წესით მიღება. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს, ვინმეს თქვენი სამედიცინო გუნდიდან, ან ნებისმიერ პირს, ვინც მიგაჩნიათ, რომ შიძლება დაგეხმაროთ პრობლემების გადალახვაში.

www.pro-vich.info და www.about-hiv.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით.

თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com

UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220